№ 35
სამშაბათი, 16 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 35
სამშაბათი, 16 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 თებერვალს,
ქართულის დრ. დასისაგან ქ-ნ ნ. პ. რენელისა ⁊ ბ-ნ დ. მესხის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქმნება
პირველად
I
**სიკოლა დენჩიკი**
სამ-მოქმედებიანი კომედია გადმ. რუს. დ. მესხის მიერ.
II
**მეფე და პოეტი**
ერთ-მოქმედებიანი კომედია ფრანგულიდგან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

---

1899

## „მოამბე“

### თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის კრიტიკის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში. (20—1)

---

**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ურთიერთა კრედიტის საზოგადოების წევრთა**

## საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 28 თებერვლისათვის, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში 1898 წლ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენება ანგარიშის შესახებ.
4. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. არჩევანები: გამგეობის თავმჯდომარესი, გ. ს. განძიელის ნაცვლად, რომელსაც ვადა გასდის, ერთის დეპუტატსა თავ. ნ. ბ. ერისთავის ნაცვლად, რომელსაც აგრეთვე ვადა გასდის, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. რწმუნების ქაღალდები წარდგენილ უნდა იქმნას კრების დაწყებამდე სამის დღით ადრე მაინც. (3—6.—1)

---

## გამგეობა

ზნე-ხასიათის ვამასწორებელ სამეურნეო სახელოსნო ახალშენთა და თავ შესაფართა კავკასიის საზოგადოებისა, ამ საზოგადოების წესდების მე 16 §-ის თანახმად, აცხადებს, რომ შაბათს, 27 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართოლოს სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. საზოგადოების გამგეობის 1898 წლის მოქმედების ანგარიში.
2. საზოგადოების 1898 წ. ფულის ანგარიში.
3. სოფ. ზემო ავჭალის ზნე-ხასიათის გამასწორებელ ახალშენის 1898 წლის. ანგარიში.
4. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1898 წლის ანგარიშის და 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. ზემო-ავჭალის ახალ შენის დირექტორის თანამდებობაზედ კ. კ. ჭყონიის დამტკიცება.
7. იმის შესახებ, რომ ერთ-ერთს ახალ აგებულ ფარდულს ეწოდოს ს. ს. გონჩაროვის სახელი.

შენიშვნა: საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ დაესწრო ოც წევრზედ არა ნაკლებ (საზოგადოების წესდების მე-17 § ის თანახმად). (3—უ.—1)

---

**წმ. იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის** (ვერაზედ) **სამზრუნველო** იწვევს ყველას, ვისაც ჰსურს იკისროს **ახალის ეკკლესიის აგება**, სრულად ან რომელისამე ნაწილისა, ძველის ეკკლესიის მახლობლად. გეგმის, ხარჯთ-აღრიცხვის და პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ს. ფრენკელთან** (გრიბოედოვის ქუჩა № 33) ყოველდღე: დილით—8-დგან 10 საათამდე, საღამოთი—5-დგან 8 საათამდე. ვადა, როდემდისაც მსურველთ უნდა შემოიტანონ დაბეჭდილს კონვერტებში ჩადებული განცხადება, დანიშნულია **1899 წლის 21 თებერვალი შუადღის 12 საათამდე.** განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ფასი მუშაობისა და საქონლისა. კონვერტებზედ უნდა ეწეროს: „**ეკკლესიის აშენების შესახებ**“. ვისაც პირადად მოლაპარაკება ჰსურს, უნდა გამოცხადდეს საბჭოს კრებაზედ 1899 წლის 21 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ. (3—6.—3)

---

## საჭიროა ნოქარი

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და საბაკალეო ვაჭრობისა.

ადრესი: „შუამგალი“, კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. (5—6.—1)

---

## ექიმი

დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი

(ოქრომჭედლების ქ., ს. თულაევისა № 40)

იღებს ავადმყოფებს—სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი — დილის 10-დგან—1 საათამდის. (7—20—3)

---

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ხავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

---

**მთავრობის განკარგულებანი**

დანიშნულ იქმნა ახალქალაქის სამაზრო პოლიციის სამმართველოს კანცელარიის მოხელე ონუფრი ბალახაძე—იმავე სამმართველოს თარჯიმნად.

---

## ახალი ამბავი

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 2 მარტს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება იქმნება მოწვეული ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა ამოსარჩევად და სხვა საჭირო საქმეების განსახილველად. რათა ამ საქმის გადაწყვეტა კრებისათვის უფრო გაადვილებულ იქმნას, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა განიზრახა კრებამდე მოახდინოს მოლაპარაკება ამ განსახილველ საგნების შესახებ. ამ აზრით უკვე მოხდა პირველი მოლაპარაკება შაბათს, 13 თებერვალს. ამ კრებაზედ გამოირკვა, რომ საგუბერნიო კრებამ რწმუნებულნი გუბერნიის მაზრათა შორის უნდა გაანაწილოს იმ წესით, რა წესიც არსებობს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და სხვა სამაზრო თანამდებობის კაცთა არჩევანებისათვის. ამის გამო რწმუნებულთა არჩევნები მოხდება მაზრებში კი არა, არამედ საგანგებო საგუბერნიო კრების დროს თითოეულ მაზრისათვის ცალკე.

თიანეთისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რომელთაც საკუთარი წარმომადგენლობა არა აქვთ მინიჭებული, ბანკისათვის რწმუნებულთ ამოარჩევენ სხვა მაზრებთან ერთად: თიანეთისა — თელავთან, ხოლო ახალციხისა და ახალქალაქისა—ტფილისთან; იმათ, ვისაც ქონებრივი ცენზი რამდენსამე მაზრაში აქვთ, ნება ეძლევათ რწმუნებულნი რამდენსამე მაზრაში აარჩიონ; იმის გამორკვევის დროს, თუ თვითოეულ მაზრას რამდენი რწმუნებული ეყოლება, აზრადა აქვთ მხედველობაში მიიღონ ამა თუ იმ მაზრის თავად-აზნაურთა რაოდენობა, მაგრამ ამასთან დიდი განსხვავება მაზრების რწმუნებულთა რაოდენობაში არ უნდა იყოს. ყველაზედ მეტის რწმუნებულის არჩევის ნება მიეცეს გორის მაზრას, როგორც სხვა მაზრაზედ უდიდესს, ხოლო ყველაზედ ცოტასი—ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებს. ამ უკანასკნელმა საგანმა მოლაპარაკების დროს ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. შემდეგი მოლაპარაკება დღეს, 16 თებერვალს მოხდება, დილის 11 საათზედ.

*** დღეს, 16 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ სათზედ, საპიორის ქუჩაზედ ისარლოვის სახლში მორიგი კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას.

*** კვირას, 14 თებერვალს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სადგომში სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოადგინეს მოლიერის კომედია „სკაპენის ცუღლუტობა“. სცენის მოყვარეთ ჩვეულებრივ კარგად ითამაშეს და ხალხიც წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

*** ზაქათალის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა აცნობა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ამ წელს ზაქათალის ოლქის ვენახებისათვის საჭიროა 120 ფუთი შაბიამანი და 160 ფუთი გოგირდიო.

*** რადგანაც სამხედრო საქართველოს გზა გუდაურსა და კობის შუა ზვავებისა და დიდის თოვლის გამო შეკრულია, 14 და 15 თებერვალს რუსეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ უკვე გარდასწყვიტა გაამ-

რავლოს ამ გზაზედ ტელეგრაფისტთა რიცხვი. აზრადა აქვთ აგრეთვე მოუმატონ ჯამაგირი იმ უფროსს ტელეგრაფისტებს, რომელნიც რკინის გზის უმთავრესს სადგურებში ჰმსახურობენ.

⁂ როგორც „კავკასსა" სწერენ, 13 თებერვალს, ქ. გორში, სისრულეში მოუყვანიათ კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის მკვლელის უნტერ აფიცრის ლოლობერიძის საქმის გამო. ლოლობერიძე ჩამოუხრჩვიათ დილის 10 საათზედ.

⁂ იმავე გაზეთს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის უფროსი ქნი ო. მ. ბუტირლინისა, დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ელისაბედის ინსტიტუტის უფროსად, ხოლო იმის ადგილას, ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის უფროსად გადმოჰყავთ ვილენის დედათა გიმნაზიის უფროსი ზედამხედველი ქ-ნი პოპოვისა.

⁂ პეტერბურგიდგან სწერენ „ახ. მიმ."ს, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას გარდაეცა 20,000 მანეთი ამიერ-კავკასიაში რუსების გადმოსახლების საჭიროებისათვისაო.

⁂ „კავ."-სის სიტყვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟენერი ლ. გ. ფედოროვსკი გადაჰყავთ რიაზანო-ურალის რკინის გზის უფროსის თანაშემწედაო.

⁂ „ახ. მიმ." სწერს: ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველი მწერალი ი. ბაქრაძე ამ ჟამად სთარგმნის ქართულ ენაზედ სომეხ პოეტთა არჩეულ ლექსებს. ბაქრაძეს აზრადა აქვს ეს ლექსები ცალკე წიგნად გამოსცეს.

⁂ ამიერ-კავკასიის მიწების გამიჯვნის საქმის გამგემ, „ტფ. ფ."-ს სიტყვით, უკვე შეიმუშავა პროექტი იმისა, თუ წლს სად რამდენი და რა ადგილები უნდა იქმნას გამიჯნული ამიერ-კავკასიაში და წარუდგინა იგი პროექტი უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად.

⁂ იმავე გაზეთს პეტერბურგიდგან სწერენ: სამინისტრო შეუდგა იმ წესების შემუშავებას, რომლის ძალითაც სავალდებულო იქმნება ამიერ კავკასიის იმ მცხოვრებლებისთვის, სადაც ხშირია ავაზაკობა, ავაზაკების, ციმბირიდგან გამოქცეულთა და საზოგადოდ ყველა დამნაშავეთა გაცემა.

⁂ „კავკ."ს სწერენ ქუთაისიდგან, რომ 7 თებერვალს დაიწყო მოქმედება შემნახველ-გამსესხებელმა კასსამ, რომელიც ამ ცოტას ხანში დაარსებულ იქმნა გუბერნიის სამმართველოს, პოლიციის დაწესებულებათა, გუბერნატორის კანცელარიის და გუბერნიის გლეხთა საქმეთა საკრებულოს მოხელეთათვის. ამ კასსის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს გ. დ. მიკლაშევსკის.

⁂ ახალ-სენაკი. 4 თებერვალს ქ. ფოთიდგან მოვიდა ახალ-სენაკში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი. რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ ადგილობრივი ადმინისტრაცია, თავად-აზნაურობა და სხვანი. დაბის დეპუტატებმა პურ-მარილი მიართვეს ბ. გუბერნატორსა. მეორე დღეს, ე. ი. 5 თებერვალს, ბ-ნმა გუბერნატორმა მთელი დაბა დაათვალიერა; დაათვალიერა აგრეთვე და გაკვეთილებს დაესწრო სასულიერო სასწავლებელში და საქალებო სამრევლო და სამოქალაქო სკოლებში. ყოველგან მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა მისცა და ძალიან ნასიამოვნები დარჩა, მეტადრე სამრევლო-საეკკლესიო საქალებო სკოლის მოსწავლეებისაგან.

ახალსა და ძველ სენაკ შუა ძლიერ გაფუჭებულია ერთად-ერთი საზოგადო და საეტლო გზა. საჭიროა ეხლავე გაკეთდეს ეს გზა, თორემ მერე უფრო გაძნელდება მისი გაკეთება და საშიშიც არის—რაიმე უბედურება არ მოხდეს.

⁂ რადგანაც ტფილისის საგუბერნიო ბეითალი ნ. ი. კრიდნერი დანიშნულ იქმნა კავკასიის საბეითალო ინსპექტორის თანაშემწედ, საგუბერნიო ბეითალის თანამდებობის აღსრულება დროებით მიენდო შინაგან სამინისტროს მიერ გამოგზავნილ ბეითალს ბ ნ ანტონოვს.

⁂ მომავალ შაბათს, 27 თებერვალს, „ტფილისის საკრებულო"-ში გამართულ იქმნება საღამო სოლოლაკის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

⁂ 13 თებერვალს ტფილისის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გასცა: გუშინ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ პუშკინის, მუხრანის ქუჩებზედ, იარმუკაზედ, რიყის, მიხეილის და რეუტოვის ქუჩებზედ ეტლით გავლის დროს შეამჩნია, რომ ქუჩები და მოედნები ქალაქის მე 9 ნაწილში და ზოგან მე-10 ნაწილშიაც სასურველად არ არის დასუფთავებული და დაწმენდილი. უცხადებს რა ამას პოლიციას, პოლიცმეისტერი ავალებს ბოქაულებს საჭირო ზომები მიიღონ, რათა ქუჩები, მოედნები და ქვა ფენილები დასუფთავებულ დაწმენდილ იქმნას. ამასთან ავალებს მათ სასანიტარო მკურნალებთან ერთად დაათვალიერონ ტრაქტირები, ხორცისა, თევზის და სხვა დუქნები, რომელნიც სანოვაგით ვაჭრობენ.

⁂ რადგანაც აზრადა აქვთ მდ. რიონიდგან გაიყვანონ ქუთაისში სასმელი წყალი, როგორც „ახ. მიმ." იუწყება, ქუთაისის ქალაქის თვით მმართველობამ მიანდო ტფილისის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის გამგეს ექიმს მ. გ. ლუნკევიჩს გამოიკვლიოს რამდენად გამოსადეგია რიონის წყალი სასმელად სახმარებლად.

⁂ აზრადა აქვთ წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ყველიერის დღესასწაულების დროს გამართონ წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მოსწავლე ქალები. წარმოსადგენად ამოურჩევიათ გოგოლის კომედია „რევიზორი".

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა თელავის თვით-მართველობას მიერ ამორჩეული სასანიტარო მზრუნველნი— ბ. ი. ვიტოვიჩი, კ. გ. მიტროფანოვი, გ. ა. სვიმონიშვილი, ი. კ. უუდჯანოვი, ს. ი. მიღდისოვი, ფ. გ. იანშერი, პ. პ. ხუნდაძე, კ. ფ. სეტნიცკი, ი. მ. ზუბკოვი, ნ. ნ. სელეზნევი და პ. ფ იშხანოვი.

⁂ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ:

1. საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების საწყობი ღია არის ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 8½ საათიდგან საღამოს 6 საათამდე.
2. ცნობების მიმცემი და საკომისიო ბიურო ღია არის ყოველ დღე დილის 6-დგან საღამოს 8 საათამდე, ხოლო კვირა-უქმეობით ნაშუადღევის 12½-დგან 2 საათამდე.
3. შაბათობით საღამოს 7½ საათზედ ცნობების მიმცემ და საკომისიო ბიუროს კრება აქვს ხოლმე მეურნეებთა სატეხნიკო საგნების შესახებ საუბრის გასამართავად. ვისაც ჰსურს რომელისამე საგნის შესახებ ცნობა მიიღოს, კეთილ ინებოს და წერილებითი განცხადება შესავალთან გამოკიდებულ ყუთში ჩააგდოს.
4. რჩევა-დარიგებას საზოგადო საქმეთა შესახებ იძლევა ა. ე. კლაუსენი იმ საათებში, როდესაც ბიურო მოქმედებს.
5. რჩევა-დარიგებას მებოსტნეობის და მავნებელ მწერთა შესახებ იძლევა ნ. ნ. სპეშნევი სამშაბათობით და პარასკებობით ნაშუადღევის 3-დგან 5½ საათამდე.
6. რჩევა-დარიგებას ტყის მოვლა-მოშენების შესახებ იძლევა ვ. ი. ლისნევსკი ხუთშაბათობით ნაშუადღევის 3-დგან 5 საათამდე.
7. რჩევა-დარიგებას ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენების და ბოტანიკის შესახებ იძლევა ვ. ვ. რადულოვიჩი კვირაობით 12-დგან—2 საათამდე და ოთხშაბათობით—საღამოს 5-დგან 7 საათამდე.
8. რჩევა-დარიგებას მევენახობის შესახებ იძლევა ბ-ნი ბაბანასოვი ორშაბათობით საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

⁂ გორის მაზრაში, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდებიათ, „ახ. მიმ."ს სიტყვით, სოფ. კეხვის მცხოვრებელის დათა კახნიაშვილის საბძლისათვის, რომელშიაც ინახებოდა ბზე, თივა, პური, ქერი და სხ. ზარალი 200 მანეთამდე იქმნება.

⁂ 14 თებერვალს, ბორჩალოს მაზრის მცხოვრებმა შიო მაკაძემ, რომელსაც ვორონცოვის ქუჩაზედ, თამამშევის სახლში დუქანი აქვს, გამოუცხადა პოლიციას, რომ ჩემმა მზვარეულმა, სოფელ მუხრანის მცხოვრებმა ვანო (გვარი არ იცის) მოიპარა გასაღები, გააღო ფულის შესანახი ყუთი, მოიპარა იქიდგან 75 მანეთი და სადღაც დაიმალაო.

⁂ სიღნაღიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს: 8 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა საქმე სიღნაღის მოქალაქის სტ. გოგიჯანოვისა, რომელსაც ნიკ. ძიძაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მოკლულს განეზრახა გაუპატიურება გოგიჯანოვისა. სასამართლომ გოგიჯანოვს მხოლოდ 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

⁂ გორის მაზრაში, სოფ. ბორცუნის მცხოვრებელის, გლეხის მათე ვალიშვილის ორ საბძელს ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 1,000 მანეთამდე იქმნება.

## ფოთის ქალაქის საბჭო

9 თებერვალი.

პირველად ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს იმ ფულის საქმე, რომელიც აღებულ იქმნა ობლიგაციების განაღდებით და ხმოსნით წარუდგინა ნამდვილი და სრული ანგარიში. ამ ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ, თუმცა გამგეობა განაღდების დროს ყოველ მანეთზედ ჰკარგავდა ხუთ მანეთს და სულ-კი დაჰკარგა 69,750 მან. მაინც ისე მოხერხებულად და წესიერად უწარმოებია ამ ფულის საქმე, რომ 1899 წ. პირ-

# ფელეტონი

## ხ ე ლ ი.

(ეტიუდი ფრანგულიდგან).

...იმ წამიდგან დაწყებული, რაც იმან მიღალატა, თავში მიტრიალებდა მხოლოდ ერთი აზრი: უნდა მომეკლა ის! ჩემის აზრის სისრულეში მოსაყვანად სხვა-და-სხვა საშუალებას ვიგონებდი. დღისით თუ ღამით? ჩავკრა მახვილი, წვერ-წალესილი დანა? ჩავუყარო ჭიქაში სადილის დროს, როცა ის მეორე მხრისაკენ მიიხედავს, ერთ-ერთი თეთრი ფხვიერი ნივთიერებათაგანი, რომელიც ერთ წამში სულს დაალევინებს? ან დავარჩო? გასანთლულის თოკითა?არა... ხელით, თითებით, ეს უფრო საიმედო იქნება!..

დიდ ხანს ვერ გადავწყვიტე; ყველა ამ სხვა-და-სხვა საშუალებას თავისი სიმშვენიერე აქვს, ყველა ერთნაირად მიმზიდველია ჩემის ფიქრით, მაგრამ მაინც გამორჩევა საჭიროა. სანამ საბოლოოდ გადავწყვეტდი, გულის სიღრმეში ათასგვარად ავზომ-დავზომე საგანი. მხოლოდ ამის ფიქრში ვიყავი. ვამზადებდი შურისძიებას დიდის მოფიქრებით, გულდასმით და ყურადღებით. ისე მიყვარდა, რომ სხვაფრივ მოქცევა არც-კი შემეძლო! რაც საყვარელ ქალს შეეხება, საჭიროა იმაში გულმაც გრძნობამ დაახლოვებული მონაწილეობა მიიღოს!

როცა ეძინა, ხშირად მთელის საათობით შევცქეროდი; ეძინა დამშვიდებით: იმისი ვითომდა უშიშარი მდგომარეობა მე უფრო მაბრაზებდა, მაჯავრებდა. თუმცა იმისი სიკვდილი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც თავს ვიქცევდი იმისის სიცოცხლით, რომელსაც იმ დღემდე არ ვართმევდი, ვიდრე გადაჭრით არ ვიტყოდი: „ეს იქნება ხვალ!" ჩემი აზრი მარტივი იყო, გარდა წვრილმანებისა, რომელიც გვარიანად რთული გამოდგა. მინდოდა... მაგრამ არ ვიტყვი... მირჩევნია თქვენთვის მოულოდნელად შეგატყობინოთ თვით მკვლელობის ამბავი.

იმ ხანებში აგარაკად ვცხოვრობდით; პაისის ყვავილები თავისს სურნელოვანობას არ გვაკლებდნენ. ერთს საღამოს, როცა იგი ჩაფიქრებული იჯდა ფანჯარასთან, ვუთხარი: „არ გინდა ორმა ტყისკენ გავიაროთ?.. ღამის მშვენიერებით დავსტკბეთ მეთქი!.."—სიამოვნებითაო! მომიგო. არ გეშინიან?—„არა, შენთან არაფრისა არ მეშინიან!.." რანაირი დაბრმავება! გულ-უბრყვილო არსებას არაფერი არ შეუნიშნავს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მე მაინც მსურდა, ცოტათი მაინც აღძროდა ეჭვები. მაგრამ იმათი აღძვრა შესაძლოა... აიღო წამოსასხამი, თავზედ ქსოვილი დაიხურა. ბაღში გავედით, ხელზედ დამეყრდნო და გულზედ მომეკრა. ყოველს ნაბიჯის გადადგმაზედ მისი ფეხი ჩემს ფეხს ხვდებოდა. უბეში გალესილი დანა მედვა, რომლის პირი ჩემს მკერდს ეკარებოდა და ყინვასავით ცივი იყო. ერთმანეთს ნაზს სიტყვებს ვეუბნებოდით; სულ დახარჯა, რაც-კი რამ საალერსო სიტყვები გააჩნდა. სამჯერ გაჩერდა ჩემის ტუჩების თავისს ტუჩებზედ მისაკრავად; მეც სამჯერვე ვაკოცე. გარშემო ყველაფერი გაჩუმებული იყო. მხოლოდ ერთად-ერთი ფრინველი ნაწყვეტ-ნაწყვეტად უსტვენდა ნაღვლიანის ხმით.

მივყვებოდით ამ სიჩუმით მოცულს გზას; ხის სველი შტოები სახეში გვხვდებოდა... როცა დაეცა... ჩემი დანა მისს ზურგში ტარამდე ჩავარჭო... საშინელი წივილი გაისმა ტყეში, მას პასუხი მისცეს შიშისაგან მთრთოლარის ფრინველების ფრთებმა, ძაღლის შორეულმა ყეფამ და სხვამ არაფერმა. აღსრულდა.

დავეშვი მუხლებზედ იმისს წინაშე, მოვჭერ მაჯაში მარჯვენა ხელი, რომელიც დამნაშავე იყო სხვის ალერსში, დავუტოვე იმისი უსულო გვამი საჭმელად მგლებსა და მელიებს და დავბრუნდი სახლში. მოღუნულის თითით მეჭირა ეს გასისხლიანებული ხელი. ჩემს თავს კარგ მონადირედ ვგრძნობდი, რომელსაც თან მოაქვს კაკაბი, ან ჯერ კიდევ თბილი მწყერი. შევედი ჩემს ოთახში და ხელი მაგიდაზედ დავადე, ავანთე სანთელი, დავჯექი და კმაყოფილების გრძნობით ღრმად ამოვისუნთქე.

მაგრამ უცებ ჩემი თვალები მაგიდამ მიიპყრო და საშინელი რამ დავინახე... შეუძლებელია. მოჭრილი ხელი დაცოცავდა... მართალია, ნელა, ძლივს შესამჩნევად, მაგრამ დაცოცავდა-კი მაინც, ჯერ ის თითებზედ ადგა, მერმე-კი, როგორც ცხრაფეხა ისე წავიდა. გაქვავებული ვიდექი. ის მივიდა მაგიდას კიდემდე, გადავიდა, დაჰყვა მაგიდას ფეხს, ჩავიდა ძირს და იატაკზედ საშინელის სისწრაფით გაიქცა ლოგინს ქვეშ და სამალავად. რა უბედურებაა! ვერ დავიძინე, დაწოლაც ვერ მოვახერხე. მას შეეძლო გამოსვლა!.. ვუცდიდი, არაფერი სჩანდა.

ავიღე ჯოხი, რომ ქუჩაში გამეგდო, ის მიხვდა ჩემს აზრს და ოთობაზედ უფრო ჩქარა აცოცდა ქერში და მოეჭიდა. მერე როგორც ობობამ... გამოუშვა ქსელი და ზედ ჩამოეკიდა... იწყო ქანაობა ჩემის თავის პირდაპირ. ვგრძნობდი, რომ ჩემი უკანასკნელი წამი დადგა... რკინის ხუთი კაუჭი ჩამესვა ყანყრატოში... მოვინდომე განთავისუფლება საშინელის მტრისაგან და დავიყვირე.

მოულოდნელმა ბედნიერებამ შესცვალა ჩემის შიშის ზარი. თვალები ავახილე, ვიცანი ოთახი, რომელშიაც გავატარე თხუთმეტი წელიწადი ქვრივად—ამით გაიგებთ ჩემის ბურვან-სიზმარის მიზეზს—და დავინახე ჩემს მაგიდაზედ ისევ იმ ალაგას, საცა საღამოს იყო ჩემის საყვარელის მწერლების ედგარ პოეს და ტურგენევის სახეთა ქანდაკებანი და მათთან ერთად თეთრის მარმარილოსაგან გაკეთებული ხელი ჩემის ძვირფასის მეუღლისა; იგი გავაკეთებინე მისის სიკვდილის რამდენისამე საათის შემდეგ, რათა დამრჩენოდა და შემენახა ნამდვილი გამოხატულობა ჩემთვის ძვირფასის, საყვარელის და დაუვიწყარის ქალის ხელისა.

ვ. სე—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ იანვრისათვის ობლიგაციებზედ დაკარგული ფული გაუნაღდებია და 4392 მან. 33 კ. ზედ მეტი აუღია.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ფოთში საკომერციო სასწავლებელი დააარსონ. ამ საგნის შესახებ ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას, რომ ბ-ნმა გუბერნატორმა შემწეობა აღგვითქვაო და თან დასძინა, რომ ნახევარი ხარჯი სასწავლებლისა ნახევარ კაპიკ-ან საბაჟო გარდასახადისგან დაიფაროსო. ამასთანავე დიდი დახმარება აღგვითქვა წარსულ ოქტომბერში, მისის აქ ყოფნის დროს, ბ-ნმა კოვალევსკიმ, დირექტორმა სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისამ, რომელიც დაგვპირდა შუამდგომლობას ფინანსთა მინისტრთან, რომ ხაზინისაგანაც მოგვეცეს შემწეობა. ნავთ-სადგურის გაკეთებასთან ერთად ვაჭრობა და მრეწველობაც აღორძინდება, ეს სასწავლებელი ხელს შეუწყობს და მეტს სარგებლობას მოუტანსო. თუ-კი შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებელი იქნება ჩვენში დაარსებულიო, განაგრძო ბ-ნმა ნიკოლაძემ, რომლის მაგალითი ჩვენში იშვიათია, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგი ჩვენს ერსა და მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანს, რადგან იქ სწავლა-დამთავრებულებს თანამედროვე ცხოვრების ასპარეზზედ გზა ფართო აქვთო. ამ საქმისათვის ყოველ წლობით ჩვენ შეგვიძლიან ქალაქის თანხიდგან 5000 მანეთი გადავდოთ ჯერ-ჯერობით; დანარჩენ ხარჯს ნახევარს საბაჟო გარდასახადი შეავსებს და ნახევარსაც ხაზინაო. თუ 5000 მანეთი არ დააკმაყოფილებს სასწავლებლის მოთხოვნილებას, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან დასაფასებელი გარდასახადი 10% გავზადოთ და სასწავლებლის ბედ-იღბალი ფეხზედ დავაყენოთო.

ამ საგანმა ცოტაოდენი კამათი გამოიწვია. ზოგიერთი ხმოსნები გაიძახოდნენ, რომ გიმნაზიის დაარსება ან რეალურ სასწავლებლისა უმჯობესიაო. საბჭო ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ ეს საგანი კომისიისათვის გარდაეცა შესამუშავებლად, რისათვისაც ხუთი კაცი იქნა არჩეული.

საბჭოს მოხსენდა გამგეობის აზრი იმის შესახებ, რომ გამგეობის საქმის მწარმოებელს ზ. გ. შერბაშინს პენსია დაენიშნოსო, რადგან ბ-ნ შერბაშინმა 19 წლის სამსახურის განმავლობაში თითქმის მხედველობაც დაჰკარგაო. საბჭომ შეიწყნარა ეს წინადადება და ხანგრძლივის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით დაადგინა ეძლიოს ზ. შერბაშინს ყოველ წლობით 240 მანეთი.

კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ექიმებს კ. ი. მიქაბერიძეს, ნ. ა. ტერ-ნიკოლოსოვს და ლ. ს. ტერ-სტეფანოვს გასამრჯელო მიეცეს იმ შრომისათვის, რომელსაც ისინი იტანენ დღეს ქალაქის სამკურნალოში. გამგეობის აზრით ის მცირეოდენი შემოსავალი, რომელიც დღეს სამკურნალოს ექვს-ექვს შაურობით შემოსდის, ყველა ექიმს უნდა მიეცეს, რადგან მათ ქალაქის გულისათვის ბევრი შრომა და მეცადინეობა მიუძღვითო. დღეს იმდენი შემოსავალი არა აქვს ექიმებს, როგორც უწინ, რადგან ყველა—მდიდარი და ღარიბი სამკურნალოს ეტანებაო. საბჭომ წინადადება გამგეობისა შეიწყნარა.

ჩამოვარდა ლაპარაკი ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის შუამდგომლობის შესახებ, რომ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დაარსებას შემწეობა აღმოუჩინოს ფოთმა. ეს საქმე კრებამ კომისიას გარდასცა განსახილველად.

დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა იშუამდგომლოს საერო განათლების სამინისტროს წინაშე, მისცეს ფოთს სესხად 77,137 მან. სამეგრელოს ექვს კლასიან საქალაქო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად.

ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია საბჭოში. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ამ სასწავლებელს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, და უმჯობესი იქნება ეს ფული სხვა უფრო სასიკეთო საქმეს მოვახმაროთო. საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გამგეობის წინადადება და მიანდო ქალაქის მოურავს ამ საქმის შესახებ შუამდგომლობა.

ი. კოხრეიძე

## წერილი ოზურგეთიდგან.

6 თებერვალს ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოების ამხანაგობას კრება ჰქონდა, რომელზედაც დაესწრო 58 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა თ. ნიკო თავდგირიძე.

კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლისგან აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას 1898 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 12,713 მ. 45 კ., გირაოდ სხვა-და-სხვებთან 300 მ., სესხი 300 მ., ფულის სარგებელი 22 მ. 72 კ.; სულ 13,333 მ. 17 კ. იმავე წლის განმავლობაში დაუხარჯავთ 12,289 მ. 18 კ., მისაცემია გირაოს ფული 200 მ.; დარჩენილია 1899 წლის 1 იანვრისთვის ფულად 843 მ. 99 კ. და სულ 13.333 მ. 72 კ.;

1 იანვრისთვის უძრავ-მოძრავი ქონება არის გამგეობის შეფასებით 10,406 მ. 04 კ., ხოლო სარევიზიო კომისიის შეფასებით-კი 7,660 მ. 29 კ. ამ სახით, სარევიზიო კომისიის წევრებმა გამგეობის შეფასებას დააკლეს 2745 მ. 75 კ. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ მამგეობას ამხანაგობის ქონების ღირებულება ერთობ გაუზვიადებია, დაუსვამს ზოგზედ წარსულ წლის საზოგადო კრების დამტკიცებულ ფასებზედ კიდევ მეტი მაშინ, როდესაც იმ ნივთებს, სიძველის გამო, კიდევ უფრო უნდა დაეკარგათ ღირებულება. ნატანების სადგურზედ თავლა დასჯდომია ამხანაგობას მეტად ძვირად. 1897 წელში დახარჯულა სიმინდი ნაკლები და ცხენები ყოფილა მეტი, ვიდრე 1898 წელს, რადგან ამ წელს დახარჯულა ბევრად მეტი სიმინდი, თივა და ბზე და ცხენები-კი ყოფილა ნაკლები. აშკარაა უყურადღებობა გამგეობისა. საჭიროა ხარჯი უფრო დასაბუთებული იყოს და წიგნების წარმოება რიგზედ და სუფთად მოეწყოს. შემდეგისთვის საჭიროა კრება ინიშნებოდეს დეკემბრის გასულს, ასე რომ პირველ იანვრისთვის ყოველივე ანგარიში გასწორდეს.

კრებამ მოისმინა ეს ანგარიში და დაამტკიცა. შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობის წევრნი: რაჟდენ წუწუნავა გამგედ 46 ხმით, კანდიტორ შავიშვილი მოლარედ 47 ხმით და ასალო მიქელაძე „სტაროსტად" 40 ხმით. გამგეს და „სტაროსტას" დაენიშნა ჯამაგირი თვეში თითოს ოცდა-ათი მანეთი, მოლარე უჯამაგიროდ არის. სარევიზიო კომისიის წევრებად: თ. ნიკო თავდგირიძე 45 ხმით, გიორგი გიგინეიშვილი 45 ხმით, სოლომონ ჰეიშვილი 49 ხმით, სილიბისტრო ვაშალომიძე 37 ხმით და დიმიტრი მურვანიძე—35 ხმ., რომელთაც დაევალათ მუდმივი ყურადღება იქონიონ ამხანაგობის წარმოება-მმართველობაზედ, ყოველ თვიურად შეამოწმონ ამხანაგობის შემოსავალ-გასავალი. თუ ანგარიშიდგან ზედამხედველმა კომისიამ დაინახა ურიგო და საზარალო მოქმედება, იმათ ეძლევათ უფლება მოიწოდონ საგანგებო კრება ამხანაგობისა. ზოგიერთ შემთხვევაში ზედამხედველის კომისიის წევრნი კრების შედგენამდისაც გადააყენებენ გამგეობის ამა თუ იმ წევრს. კომისია ამას გარდა მიიღებს საჩივარს, როგორც წევრებისაგან, ისე მიმსვლელ-მომსვლელისაგან, გამგეობის უწეს-რიგო მოქმედების შესახებ. ამხანაგობის საწევრო ბარათი ჰღირს ეხლა 47 მ. 57 კაპ., წინად-კი 20 მან. ღირდა.

დამსწრე

## წერილი დ. გუდაუთიდგან.

5 თებერვალი.

ჩვენმა გუდაუთამ აგერ მეორე წელიწადი სრულდება, რაც თავისა უფლება „სლობოდკის" სახელ წოდებისა დაჰკარგა: უმაღლესმა მთავრობამ განგვიმარტა, რომ, რადგანაც დაბანი გუდაუთი და ოჩამჩირე ჯარების შტაბების ახლოს არ არიანო, არ აქვთ უფლება სლობოდკად იწოდონო და მასის (სლობოდკის) უფლებებით ისარგებლონო. დღეს ჩვენი გუდაუთი არც სლობოდკაა, არცა პოსადი, და ჩვენც არ ვიცით, რა ვუწოდოთ. გუდაუთლებმა არა ერთხელ და ორჯელ მიჰმართეს უმაღლესს მთავრობას თხოვნით—გუდაუთი პოსადად დაგვიმტკიცეთო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც ვერ ვეღირსენით ამისს პასუხსა და ეს გარემოება-კი ჩვენის დაბის წარმატებას და წინ წაწევას აფერხებს და აბრკოლებს; საქმე ის არის, რომ გუდაუთს უმაღლესად ნაბოძები აქვს 800 დესეტინა მიწა, რომლითაც დაბა ველარ სარგებლობს საჭიროებისამებრ: სლობოდკის უფლებების მოსპობისათანავე გუდაუთს მოესპო უფლება მისცეს მსურველთ სამოსახლო მიწები ღირებულ ფასად. ამ განკარგულებით მისი ზრდა-განვითარება შეფერხებულია. ჩვენს დაბას თავისს მშვენიერ ადგილ-მდებარეობის გამო ბევრი ეტანება დასასახლებლად: ჯერ-ჯერობით 300 თხოვნაზედ მეტია შეტანილი, სადაც ჯერ არს, მოგვყიდეთ სამოსახლო მიწის ნაჭრებიო; მთხოვნელთა უმრავლესობა შეძლებული და ცხოვრების ასპარეზზე წინ წასულია, რომელნიც უეჭველია, რაიმე წარმატებას დაატყობდნენ ჩვენს დაბასა. სასურველია, რომ მთავრობა ჩვენს თხოვნას შეიწყნარებდეს და ამით არ შეუშლიდეს ბუნებრივ ზრდას ჩვენის დაბისას ხელს.

მეორე არა ნაკლებ საჭირ-ბოროტო საგანი როგორც ჩვენი დაბის მკვიდრთათვის, აგრეთვე მთელის ნაწილს (გუდაუთის) მცხოვრებთათვის მომრიგებელ სასამართლოს ახლოს უქონლობაა, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა „ივერიაში" ლაპარაკი. დღეს ჩვენის მხრის მკვიდრთათვის თითქმის არ არსებობს ქვეყანაზედ მომრიგებელი სასამართლო, რადგანაც მისი სიშორე შეუძლებელადა ჰხდის ჩვენთვის საჭიროების დროს მას მივმართოთ: აბა, მიბრძანეთ, როგორ ვისარგებლოთ იმ დაწესებულებით, რომელიც, სულ მცირე რომ ვთქვათ, 40—60 ვერსით დაშორებულია ჩვენზედ? ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენ და სოხუმის მომრიგებელ სასამართლოს არ გვაერთებს რაიმე სახეირო გზა! ამიტომაცაა, რომ აქაური მკვიდრი რჩობს ისევ მკლავის ძალას მიჰმართოს საჭიროების დროს, ვიდრე „სუდს". ამ საჭიროების შესახებ აქაურ მკვიდრთ არა ერთხელ მიჰმართეს შუამდგომლობით, სადაც ჯერ იყო, მაგრამ აქამდის არაფერი არ გამოვიდა. ეხლა-კი, ვკონებთ, მთავრობამ შეიწყნაროს ეს ჩვენი კანონიერი თხოვნა და გუდაუთში დაგვიაარსოს მომრიგებელი სასამართლო: ჩვენის თხოვნის გამო ადგილობრივს მთავრობას დაეკითხნენ თავისს აზრს ამის შესახებ. მთავრობამაც ჩვენდა სასარგებლოდ სიმართლე აღიარა: „აუცილებლად საჭიროაო".

ვნახოთ, თუ ბედმა გაგვიღიმა!

მესამე ჩვენი არსებითი საჭიროება, ვგონებთ, ადრე დაგვიკმაყოფილონ. როგორც მკითხველს მოეხსენება, გუდაუთის ნაწილში, სადაც 25 ათასს აღემატება მცხოვრებთა რიცხვი, არც ერთი ექიმი არ მოგვეპოვება, რის გამოც საჭიროების დროს იძულებულნი ვართ ისევ ძველებურ, მამაპაპეულ მკითხავ-ქადაგთ მივმართოთ! აგერ ათი წელიწადია მთავრობას ვეხვეწებით, ვემუდარებით თითქმის ყოველ წელიწადს, ექიმი გამოგვიგზავნეთო, და ეხლა, როგორც ამბობენ, თხოვნა გვისრულდება: ამბავი მოვიდა ქუთაისიდგან, რომ გარდაწყვეტილია სოფელ დრანდიდგან ამ მოკლე ხანში დ. გუდაუთაში გადმოიტანონ სასოფლო ქსენონიო. ღმერთმა ჰქნას! მხოლოდ ეს კია, რომ შოთას სიტყვები გვისრულდება: „ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო?!" ჩვენისთანა, შეიძლება უფროც გაჭირვებულ ხალხს ართმევენ და ჩვენ გვაძლევენ... მაგრამ, ნათქვამია, „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოვო", ჩვენც აღტაცებით მოველით ქსენონს!

როგორც უკვე მოეხსენებათ „ივერიის" მკითხველებს, გუდაუთის ნაწილის უფროსად დაგვინიშნეს ბ-ნი დ. გ. ელიავა, მხნე, ძალ-ღონით აღსავსე და ხალხის მოსიყვარულე კაცი. აქაურ მკვიდრთ იმედი აქვთ, რომ ბ-ნი ელიავა თავისს ძალ ღონეს თავისს დაუღალავ მხნეობას ჩვენის დაჩაგრულის მხრის წარმატებასა და აღყვავების გზაზედ დაყენებას მოახმარებს. ჯერ ჯერობით ამისს სრულს იმედს გვაძლევს ბ-ნი ელიავა: უფრო გულდადებით და სიყვარულით ეკიდება სკოლების მოწყობა-გამრავლებასა, გზების გაყვანას, შინაურ საქმეების მოწყობასა, ხალხის დამშვიდება-დაშოშმანებასა და სხვათა. ვუსურვებთ სულითა და გულით წარმატებასა და გამარჯვებას ამ გზაზედ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა გუდაუთის ახალ „სტაროსტის" და დეპუტატების შესახებ. როგორცა სჩანს, ჩვენი ახალი „მთავრობა" დაბის საქმეებს უურო ენერგიითა და სიყვარულით ეკიდება: გუდაუთის მოშენებასა და მოლამაზებას. მართალია, ჩვენი დაბა დიდის არაფრის შემძლეა, მაგრამ რისიც შემძლეა, იმის სასარგებლოდ მოხმარებას შნო და ცოდნა უნდა და ამ მხრივაც, ვგონებ, ბედი გვიღიმის!

ჰამუთ-ბეი

## ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ-საცავი

(სხდომა 12 იანვარს, 1899 წ.)

(დასასრული *)

12 იანვრის სხდომაზედვე მოსმენილ იქმნა 1898 წლის მოკლე ანგარიში სიძველეთ-საცავისა, შედგენილი გამგის ბ-ნ ჯანაშვილისაგან. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ წარსულ წელს შესრულებულა სიძველეთ-საცავის დაარსებიდგან ათი წელიწადი. საანგარიშო წელს ყოვლად სამღვდელო კირიონს ბევრი ხელთ-ნაწერი მოუთავსებია სიძველეთ საცავში, სადაც შკაფების უქონლობის გამო უფრო-ერთი ხელთ-ნაწერთა იატაკზედ აწყვია. საანგარიშო წელსვე სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზს მ. მ. ესტატე ელიევს შეუწირავს სიძველეთ-საცავისთვის 100 მან. კატალოგის დასაბეჭდად,—ამ ფულიდამ მიღებულია მხოლოდ 50 მან.

ყოვლად სამღვდელო კირიონის წინადადებითვე კრებას სჯა ჰქონდა სიძველეთ-საცავის ვრცელ კატალოგის (ნუსხას) დაბეჭდვის შესახებ, ვინაიდგან არსებული დაბეჭდილი კატალოგი მოკლეა. ყოვლად სამღვდელოს აზრით სიძველეთ-საცავის გამგედ ნამყოფის ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი კატალოგი ანუ აღწერილობა ხელთნაწერებისა და ნივთებისა შედგენილია კეთილსინიდისიერად და საქმის ცოდნით და ამიტომ ის ღირსია კომიტეტის ყურადღებისა. ყოვლის შემთხვევაში ბ-ნ ჟორდანიასა, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, კარგად შესწავლილი აქვს სიძველეთ-საცავი და მის მიერ შედგენილი აღწერილობა, სასურველია, მალე დაიბეჭდოსო. მაგრამ რადგან ასეთს საძნელო და რთულს შრომაში შეიძლება შეცდომები იყოს, ამის გამო საჭიროდ ვთვლი ვთხოვოთ ბ-ნს თ. ჟორდანიას გადაათვალიეროს გულდასმით ეს აღწერილობა, შეასწოროს ნაკლულევანებანი, შეავსოს და სხვა ხელთ-ნაწერების აღწერილობაც შეადგინოს. დაახლოებით ასეთი აზრი ბ-ნ ჟორდანიას მიერ შედგენილს აღწერილობაზედ წარმოთქმულ იქმნა ჯერ კიდევ 1897 წლის კომიტეტის სხდომაზედ (იხილე Тиф. цер. Древл. М. Джанашвили стр. 24). ყოვლად სამღვდელო კირიონის წინადადება ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ შედგენილ აღწერილობის შესახებ შეწყნარებულ იქმნა კომიტეტისაგან, რომელმაც დაადგინა ეთხოვოს ბ-ნს თ. ჟორდანიას შეასწოროს და შეავსოს ეს აღწერილობა და, უკეთუ შეიძლება, განაგრძოს.

12 იანვრის სხდომაზედ ყოვლად სამღვდელო კირიონმა გაახსენა კომიტეტს გარდაცვალება წევრის ალ. ს. რონიშვილისა, რომელიც დიდად მო-

*) იხ. „ივერია" № 34.

ყვარული იყო საქართველოს სიძველეთა, თანაუგრძნობდა სიძველეთ-საცავს და შესწირა მას რამდენიმე ფრიად საყურადღებო ნივთი. კომიტეტის წევრებმა, გაითვალისწინეს რა განსვენებულ რაინაშვილის მოღვაწეობა და მისი მხურვალე თანაგრძნობა საქართველოს სიძველეთა მიმართ, საზოგადოდ, ადგომით პატივი სცეს მისს დაუვიწყარს სახსოვარს.

ბ-ნმა თაყაიშვილმა კრებას განუცხადა, რომ თელავის სამეფო კარის ეკლესიის კანკელი, ფრიად შესანიშნავი ისტორიულ არხეოლოგიურად, ნაწილ-ნაწილად დაყოფილია და უპატრონოდ დატოვებული ელის სიძველეთ საცავის კომიტეტის თანაგრძნობასაო. დადგენილ იქმნა—ამ კანკელის ნაწილები გადმოტანილ იქმნას სიძველეთ-საცავში შესანახად.

ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით, ქართველს საზოგადოებას გავაცნოთ დრო გამოშვებით ამ სიძველეთ-საცავის სვე ბედი. ის დაარსებულია იმ აზრით, რომ მის კედლებ შორის დაცულ იქმნას ისტორიულ და არხეოლოგიურ მხრივ შესანიშნავი ნივთები (ხატები, შესამოსელი, ჯვარ-ჭედი, ხელთ ნაწერები და სხ.), რომელიც კი საქართველოს საექსარხოსოში მოიპოვება. სიძველეთ საცავმა დიდი სამსახური გაუწია ჯერ-ხანად საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. გავიხსენოთ ორი მოზრდილი წიგნი ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი სახელწოდებით: „ქრონიკები“; მისივე სხვა ნაწერებიც: „Завѣщаніе царя Давида“, „შიო მღვიმის მონასტერი“ და სხ. ბ-ნ მოსე ჯანაშვილის შრომანი, ამ ბოლო დროს შედგენილნი და გამოცემულნი და სხ... ყველა ამ ნაწერებში მრავლად მოიპოვება მასალა ამოღებული სიძველეთ-საცავის ხელთნაწერებიდგან.. არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ესევე სიძველეთ საცავი საქართველოს ისტორიის სხვა მკვლევართაც და მოყვარულთაც გაუწევს დაუფასებელს სამსახურს, რაც მოკლე დროში ცხადად გამოჩნდება. ამის გამო მოვა დრო, რომ ტფილისის საეკლესიო სიძველეთ საცავის არსებობა ეცოდინება ყველას, ვინც-კი იკვლევს წარსულსა, და მადლობით მოიხსენებს არა ერთი და ორი მკვლევარი მსოფლიო ისტორიისა, მისი არსებობა და მისი საუნჯენი ეცოდინება მთელს რუსეთს და მთელს ქვეყანას...

სიძველეთ-საცავის მდივანი ილ. ფერაძე

## დამაკვირდი

ვინაითგან სიყვარულით აღმზარდეთ, მეცა მაკურთხეველი ვარ თქვენი და მორჩილი.

მაწყვერელი ნიკოლოზ

* * *

გქონდეს გულის სიბრძნე ცნობიერი და ენა წესიერად მეტყველებისა, რათა არა ძნელ სავალ იყოს გზა სვლისა შენისა.

ნინოწმ. იოსებ ვაჩნაძე

* * *

თვისს ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარზედა.

აკაკი

## სასამართლოს მატიანე

ქ-ნ პოლონსკისა და ბ-ნ გვარამაძის საქმე.

13 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი ქ-ნ პოლონსკისა და ბ-ნ ნ. გვარამაძის საქმის გამო. სასამართლომ პოლონსკისა და გვარამაძე, რომელთაც მეკახშეობა ბრალდებოდათ, დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ასტრახანის გუბერნიაში გაგზავნა დასასახლებლად. ამასთან სასამართლომ დაადგინა პოლონსკი და გვარამაძე დაპატიმრებულ იქმნან ვიდრე 3,000 მან. თავმდებობას არ წარადგენენ. პოლონსკიმ იქვე წარადგინა და ამიტომ აღარ დააპატიმრეს, ხოლო გვარამაძე მეტეხის საპყრობილეში გაგზავნეს. განაჩენის გამოცხადების დროს ორთავე ბრალდებულს გული წაუვიდა.

—

პლიუშჩევსკის საქმე.

თავ. კონსტანტინე მუხრან-ბატონის ვექილმა გუნცაძემ ტფილისის სამოსამართლო პალატაში კერძო საჩივარი შეიტანა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ, რომლის ძალითაც მოსპობილია კონსტანტინე პლიუშჩევსკის სიყალბის ჩადენის საქმე. ნაფიცი ვექილი გუნცაძე სთხოვს პალატას გააუქმოს ოლქის სასამართლოს დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ და ეს საქმე უკანვე დაუბრუნოს გამომძიებელს გამოძიების დასამთავრებლად და ან იგი სრულიად მოსპოს სისხლის სამართ. წესდების მე 16 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო: „ბუნება სურათებში“ ჯეჯილის ალბომი, გამოცემული ან. წერეთლისაგან, ხოლო შედგენილი ილია ალხაზიშვილის მიერ. წიგნში აწერილია სხვა-და-სხვა ცხოველის ცხოვრება. ამ წიგნის შესახებ ბიბლიოგრაფიულს წერილს შემდეგ დავბეჭდავთ. ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ წიგნი დიდის ფორმატისაა და ბევრი სურათი აქვს ჩართული და სუფთად არის გამოცემული.

## დეპეშა

13 თებერვალი

**ტომსკი.** ენისეის გუბერნატორმა დეპეშით აუწყა „ტომსკის ფურცელს“, რომ ანდრეს შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილი არისო. კერძო წერილებიდგანა სჩანს, რომ ცნობები ანდრეს შესახებ—ტყუილია: ლიალინის სიტყვა დასაჯერი არ არის.

**ლონდონი.** დღეს ნიცაში გარდაიცვალა ბარონი რეიტერი, „რეიტერის სააგენტოს“ დამაარსებელი.

**პარიჟი.** დერულედი და გაბერი დღეს წაყვანილ იქმნენ „პატრიოტთა ლიგის“ სადგურში, რომელიც გაჩხრეკილ უნდა იქმნეს და რასაც უნდა დაესწრნენ ისინი.

**პარიჟი.** მელინმა, რომელმაც იკისრა რესპუბლიკელ-პროგრესისტების დასის თავჯდომარეობა პალატაში, სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი და რესპუბლიკა განსაცდელში არისო დრეიფუსის საქმის გამოისობით განხეთქილების გამო. მელინი წინადადებას იძლევა, რომ საუკეთესო საშუალება არისო პარლამენტს სხვა ხასიათი მიეცეს და ტიერისა, გამბეტის და ფერის ტრადიციებს დავუბრუნდეთო. დასასრულ ორატორმა მოიგონა ფორი და ლუბესადმი ნდობა წარმოსთქვა.

**სოფია.** „სვობოდა“ აქვეყნებს სტამბულოვისა და რადოსლავოვის დასთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი ორივენი მხარს მისცემენ კაბინეტს. ამასთანავე გაზეთი იუწყება, რომ ამის შემდეგ ის აღარ გამოვა.

**ბერნი.** გარდაიცვალა ველტი, რომელიც ექვსჯერ თავჯდომარე იყო კავშირისა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დამატებითი კრედიტის განხილვა სამხედრო საქმეებისათვის, უარ ჰყო 167 ხმით 58 წინააღმდეგ, მორლის წინადადება, რომელიც მთავრობის პოლიტიკას ჰკიცხავდა სუდანის საქმეებში. მორლი, რომელიც სასტიკად ჰკიცხავდა მთავრობას, ამბობდა, რომ სუდანში გალაშქრება თავიდგანვე შეცდომა იყოვო: იმან ახალს პირობებში გააბა ინგლისი, საქმე დაუხლართა და ხარჯები მოუმატაო. ბროდრიკი იცავდა მთავრობის პოლიტიკას და ამტკიცებდა, რომ ინგლისის მდგომარეობა სუდანში მკვიდრს საფუძველზედ არის, სუდანისაკენ წაწევა არა მარტო სამართლიანია, არამედ ამას მოითხოვს ამ საუკუნეში მიღებული წეს-რიგი იმპერიალიზმის გავრცელების შესახებო. გრეიც აგრეთვე იცავდა მთავრობის პოლიტიკას. ლაბუშერი ჰკიცხავს მას ისე, როგორც კემპბელ-ბანერმანი, რომელიც ამასთანავე იმ აზრისა არის, რომ ინგლისი ჯერ თავს ვერ დაანებებს ეგვიპტესო. ბალფურმაც ილაპარაკა შემდეგ მთავრობის სასარგებლოთ. ამის შემდეგ კენჭი უყარეს საკითხს.

**ქრისტიანია.** გარეშე საქმეთა მინისტრმა სთხოვა ნორვეგიის მინისტრად ნამყოფს გრამს—შვეციისა და ნორვეგიის წარმომადგენლად იყავით პარლამენტთა საერთო სამშვიდობო კრებაზედო. გრამმა არ მიიღო ეს წინადადება, რადგან, როგორც „Margenbladet“-ი იუწყება, სტეენის კაბინეტი მისი წინააღმდეგი იყო. მთავრობის ნება დაურთველად გრამს არა სურს ეს საქმე იკისროს.

**მადრიდი.** რიოსი იუწყება, რომ მეამბოხეთა მოახლოვების გამო მანილიასთან ესპანელების ქალაქში დარჩენა ძნელიაო.

**მადრიდი.** იმ კომისიამ, რომელსაც უნდა გაესინჯა ამორჩეულთა სიები, მოუსმინა სერვერას, რომელიც ამტკიცებდა, რომ რადგან მე სისხლის სამართლის წესით არა ვარ პასუხის გებაში მიცემული, ნება მაქვს სენატის წევრობისაო. სერვერამ განაცხადა, რომ ესკადრის დაღუპვა თუ ბოროტ საქმედ ჩაითვლება, პასუხის გება მთავრობამ უნდა იკისროს, რომელმაც ჩემის სურვილის წინააღმდეგ გამგზავნა ანტილის ზღვაშიო. სერვერამ დასძინა, რომ მე ვსტიროდი, როცა სანტიაგოში მშვიდობით მოსვლა მომილოცეს, იმიტომ რომ უბედურებას მოველოდიო.

**მადრიდი.** პალატა. სალმერონმა განაგრძო თავისი სიტყვა და შენიშნა, რომ პასუხს მე თითონ ვაგებ გუშინდელ ჩემ სიტყვებისათვისო. საგასტამ შეაქო მხედრობა. თუ კი გარკვეულად ვისმეს ბრალს დასდებთ, მთავრობა პასუხის გებაში მისცემს დამნაშავეთაო.

15 თებერვალი

**პარიჟი.** 17 პოლიციის კომისარმა დღეს სახლები გაუჩხრიკეს ანტისემიტთა ლიგის მთავარ წევრებს და ორლეანისტთა და ბონაპარტისტთა დასების უმთავრეს მოღვაწეთ, მათ შორის ანდრე ბოფვესაც, ორლეანელის ჰერცოგის მდივანს მონ იკრუას, „Ant.“-ის მთავარ რედაქტორს გერენს, ტიების და სხვათა, რათა გამოიკვლიონ რა ჰსურს ანტისემიტთა ლიგას და იმისი დამოკიდებულება როიალისტთა და ბონაპარტისტთა კომიტეტებთან და სხვა ლიგებთან.

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშები იუწყებიან, რომ მანილიაში მდგომარეობა მეტად სერიოზულია. უცხო სახელმწიფოთა გემებმა ჯარი გადმოსხეს.

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ იმ ქაღალდებს, რომელნიც დღეს, სახლის გაჩხრეკის დროს ჰპოვეს, ახლო ხანში განიხილავენო.

**პარიჟი..** გუშინ ელჩმა სადილი გამართა რუსეთის მისიისათვის, რომელიც ფორის დასაფლავებას დაესწრო. სადილზედ იყო გარეშე საქმეთა მინისტრი.

**პარიჟი.** გამომძიებელს ფაბრს მიანდვეს იმ ქაღალდების განხილვა, რომელიც დღეს როიალისტთა და ანტისემიტთა სახლებში ჰპოვეს. ამ საქმეს დერულედის საქმესთან კავშირი არა აქვს. იმ ჩამადანში, რომელიც მონიკრუასთან ჰპოვეს იპოვნეს ორლეანელის ჰერცოგის რამდენიმე წერილი პარიჟელ მოღვაწეებთან მიწერილი. ამის გამო სხვათა სახლების გაჩხრეკასაც შეუდგნენ.

**ნიუ-იორკი.** მანილიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სებუში ამერიკის დროშა იქმნა ამართულიო.

**მანილია.** მოხელეთა ნებართვით, ყოველ საღამოს „ნარცისუს“-ის გემიდგან ჰგზავნიან ნაპირზედ ზღვაოსანთ, ცეცხლის ჩასაქრობად და საელჩოების და ბანკების დასაცველად ცეცხლის წაკიდებისაგან. უცხო სახელმწიფოთა ელჩები გუშინ შეიკრიბნენ სათათბიროდ. ამერიკის მოხელეებს არ შეატყობინეს თათბირი რაზედ ჰქონდათ. გუშინ ქალაქში მშვიდობიანობა იყო, თუმცა ზოგჯერ მეამბოხენი დიდ ხმაურობას ასტეხდნენ ხოლმე, ასე რომ კაცს ეგონებოდა თავს-დასხმას აპირებენო.

## შემოწირულება

—

ქ-ნ დარია მოლოდინაშვილისაგან მივიღეთ 3 მან. მცხეთის განსაახლებლად შესაკრებ ფონდის სასარგებლოდ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

სოფ. ბარისახოს სკოლის წიგნთ-საცავისათვის შემოსწირეს წიგნები: ბ-ნმა ლ. ბერძენიშვილმა 4 მან. და 15 კაპეიკისა, ი. ლეჟავამ 3 მან., გ. მაჭავარიანმა 3 მან. და ბ. ევანგულოვმა 1 მან., რისთვისაც ყველა ამათ მადლობას ვუძღვნი.

ბარისახოს სკოლის მასწავლებელი ნ. რაზიკაშვილი

## განცხადებანი

სურდოს წამალი
ოლფაქტორიუმ ნუდილინი
მ. ნ. ქიმუნსკისა
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—8)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1898 წელს 14 დეკემბერს მომხდარ საბჭოს გარდაწყვეტილების თანხმად, 1899 წლის პირველ ექვსს თვეში ტფილისში შემოღებულ იქმნება ხელმეორე დაფასება უძრავ მამულებისა, რომლის მოქმედების დაწყება უნდა ჩაითვალოს 1899 წლის 1 იანვრიდგან. რაოდენობა ქალაქის სასარგებლოდ გადასახდელ დაფასების ხარჯისა, რომელიც გაწერილია ხელმეორედ დაფასების ცნობათა მიხედვით, მამულების პატრონებს ეუწყება ცალკე უწყებებით. ვიდრე ეს უწყებები დაურიგდებათ მამულების პატრონებს, დაფასების გარდასახადი უნდა შეიტანონ დაფასების ძველის სიის მიხედვით, ხოლო თუ ახალის დაფასებით ქალაქს მეტი გარდასახადი ერგება, ეს მომეტებული ფული შეტანილ უნდა იქმნეს 30 აპრილამდე, თუმცა მამულების პატრონთ დაგვიანებისათვის ჯარიმა არ გადაჰხდებათ; და თუ ახალის დაფასებით ნაკლები გარდასახადი ერგება, მაშინ მომეტებულად გარდახდილი ფული ჩაიწერება 1899 წლის მეორე ნახევრის გარდასახადში და როდესაც მთელი გარდასახადი შეივსება, მაშინ მომეტებულად შეტანილი ფული მამულის პატრონს დაუბრუნდება. (3—6—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხის, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1895 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან, და არისტაკოვთან. (24—მ.—4)

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული
საყმაწვილო მოთხრობანი
ეკატერინე გაბაშვილისა.
ფასი 30 კაპ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Февраля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე